პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 165 (10251) | ხუთშაბათი, 14 ივლისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დაადგინა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XX ყრილობა მოწვეულ იქნას 1956 წლის 14 თებერვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XX ყრილობის მოწვევის შესახებ

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XX ყრილობა მოწვეულ იქნას 1956 წლის 14 თებერვალს.

2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება— მომხსენებელი ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი.

2) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. პ. გ. მოსკატოვი.

3) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ა. ბულგანინი.

4) პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

3. დაწესდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 5.000 წევრზე და ერთი დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის წევრობის 5.000 კანდიდატზე.

4. XX პარტიული ყრილობის დელეგატებს, პარტიის წესდების თანახმად, ირჩევენ დახურული (ფარული) კენჭისყრით. რუსეთის სფსრ ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების პარტორგანიზაციებისაგან დელეგატებს ირჩევენ საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე. სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში პარტიის ყრილობის დელეგატების არჩევნები წარმოებს საოლქო პარტიულ კონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე — მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების შეხედულებით.

კომუნისტები, რომლებიც ირიცხებიან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, სასაზღვრო ნაწილების, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი და საბადრაგო დაცვის პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის XX ყრილობის დელეგატებს ირჩევენ დანარჩენ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე.

კომუნისტები, რომლებიც ირიცხებიან საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საზღვარგარეთ მყოფი ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის XX ყრილობის დელეგატებს ირჩევენ შესაბამისი საჯარისო შენაერთების პარტიულ კონფერენციებზე.

5. მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენციები და ყრილობები ჩატარდეს 1955 წლის დეკემბერში—1956 წლის იანვრის პირველ ნახევარში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი.

# მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1955 წლის 11 ივლისს ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო

### I.

### მრეწველობის მუშაობის ზოგიერთი შედეგების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში სოციალისტურმა მრეწველობამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მეხუთე ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობის მიხედვით შესრულდა 1955 წლის 1 მაისისათვის, ესეიგი 4 წელიწადსა და 4 თვეში. ეს საბჭოთა ხალხის დიდი გაბაჯარჯვებაა საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების გაშტკიცებისათვის, კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის ბრძოლაში.

დიდი წარმატებანი აქვს მძიმე მრეწველობას, რომელიც მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელი ზრდისა და ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების გაშტკიცების საფუძველია. წარმოების საშუალებათა წარმოება 1955 წლის დამლევისათვის 84 პროცენტით გადიდდება 1950 წელთან შედარებით და საბჭოთა კავშირის მთელი სამრეწველო პროდუქციის 70 პროცენტზე მეტი იქნება.

ომისშემდგომი დროის დიდი მიღწევაა გრანდიოზული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა ვოლგაზე — კუიბიშევსა და სტალინგრადში — და ციმბირის მდინარეებზე. იმ ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ახლა შენდება, თითქმის სამჯერ გადააჭარბებს ყველა ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრეს, რომლებიც 1954 წლის დამდეგისათვის მუშაობდა.

მანქანათმშენებელი მრეწველობის პროდუქციის საერთო მოცულობა 1955 წელს 1950 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად დიდდება, ხოლო 1940 წელთან შედარებით — 4,6-ჯერ. მნიშვნელოვანი მიღწევებია დიდი წარმადობის ახალი მანქანების, მოწყობილობისა და ზუსტი ხელსაწყოების შექმნასა და ათვისებაში, მოწინავე ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებასა და დანერგვაში.

მანქანათმშენებლობის პროდუქციის წარმოების ზრდამ შესაძლებელი გახადა, რომ ამაღლებულიყო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების — ქვანახშირის, მეტალურგიული, ნავთობის, სატყეო მრეწველობის, აგრეთვე მშენებლობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონე. ამჟამად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში ერთიორად მეტი ტრაქტორი, მარცვლეულის კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები მუშაობს, ვიდრე 1940 წელს; ამ მძლავრი ტექნიკის ბაზაზე წარმატებით წყდება ყამირი და ნასვენი ნიწების ათვისების, მარცვლეულის, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანები.

მძიმე ინდუსტრიის ყოველმხრივი ზრდის საფუძველზე ვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დონე 1955 წელს 72 პროცენტით გადააჭარბებს 1950 წლის წარმოების დონეს, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 65 პროცენტისა.

ბრეწველობის ამ უკანასკნელი წლების მუშაობის შედეგები კვლავ ადასტურებენ, რომ სწორია ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი — უპირატესად მძიმე მრეწველობის განვითარების ხაზი. განუხრელად მიჰყვება რა ამ ხაზს, პარტია ხელმძღვანელობს დიდი ლენინის მითითებებით, რომ საჭიროა უფრო სწრაფად განვითარდეს წარმოების საშუალებათა წარმოება მოხმარების საგნების წარნოებასთან შედარებით როგორც გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების აუცილებელი პირობა.

მძიმე ინდუსტრია კვლავაც უნდა ვითარდებოდეს სახალხო მეურნეობის სხვა დარგებზე უფრო სწრაფად. რაც უფრო მაღალი იქნება ჩვენს ქვეყანაში მძიმე მრეწველობის განვითარების დონე, მძიმე მრეწველობისა, რომელიც განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ აღმავლობას, მით უფრო სრულად შევძლებთ დავაკმაყოფილოთ საბჭოთა ხალხის განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილებანი, უფრო სწრაფად შევქმნათ მოხმარების საგნების სიუხვე და განვახორციელოთ სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლა. ამისათვის საჭიროა განუწყვეტლივ განვახორციელოთ ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობაში, უფრო სრულად გამოვიყენოთ არსებული საწარმოო რეზერვები, განუხრელად გავაძლიეროთ ნასების შემოქმედებითი ინიციატივა და ამ საფუძველზე მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების მკვეთრად გადიდებას.

### II.

### მრეწველობის შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურ ყურადღებას აქცევენ სამამულო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში განუხრელად ხორციელდება მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ტექნიკური გაუნჯობესება. წარმოებაში ინერგება ავტომატიკის, ტელემექანიკის, რადიოტექნიკის, ელექტრონიკის უახლესი მიღწევები.

ამასთანავე მრეწველობის მთელ რიგ დარგებში ნელა ინერგება წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი მიღწევები, ცუდად იყენებენ მრეწველობის არსებულ რეზერვებს. მრეწველობაში, ტრანსპორტზე და მშენებლობაში ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საწარნოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე; მთელ რიგ დარგებში არის აგრეთვე ნაკლოვანებანი წარმოების მოწინავე ტექნოლოგიის დამუშავებასა და ათვისებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ სახალხო მეურნეობაში ახალი ტექნიკის არადამაკმაყოფილებელი დანერგვის მთავარი მიზეზებია მინისტრებისა და უწყებათა ხელმძღვანელების სუსტი ხელმძღვანელობა ახალი მანქანების, მექანიზმების, ხელსაწყოებისა და აპარატურის, ახალ სახეობათა მასალებისა და პროგრესული ტექნოლოგიის შექმნისა და ათვისების სამუშაოებისადმი, აგრეთვე მრეწველობის ზევრი ხელმძღვანელი მუშაკის ყოყოჩობა და თვითდამშვიდება, ის, რომ მაფ დაკარგეს მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ მუშაკებმა დაივიწყეს პარტიის მითითება, რომ ტექნიკა მუდამ წინ უნდა მიდიოდეს, რომ უამისოდ შეუძლებელია სოციალისტური წარმოების დაჩქარებული განვითარება. დიდი ლენინი გვასწავლის, რომ „იმარჯვებს ის, ვისაც უდიდესი ტექნიკა, ორგანიზებულობა, დისციპლინა და საუკეთესო მანქანები აქვს... რომ უმანქანოდ, უდისციპლინოდ თანამედროვე საზოგადოებაში ცხოვრება არ შეიძლება...“

ზოგიერთი სამინისტრო ცუდად ხელმძღვანელობს დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების საქმიანობას, მეცნიერ მუშაკთა მთელ ყურადღებას არ მიაპყრობს ტექნიკის განვითარების მთავარი ამოცანების გადაწყვეტას, წარმოებაში დამაკმაყოფილებლად ვერ ნერგავს დამთავრებულ სამეცნიერო-კვლევითს ნაშრომებს.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი და დარგობრივი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები დაქსაქსულად მუშაობენ, რის გამო ხშირად ხდება მათი თემატიკის დუბლირება. უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერთა კადრების დიდ კოლექტივს ნაკლებად აბამენ ახალი ტექნიკის განვითარების დარგის პრობლემათა დამუშავებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მიჩნეულ იქნას პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მრეწველობის დარგში წარმოების ტექნიკური დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების უზრუნველყოფასთან ერთად. ამ ამოცანის გადაწყვეტის ძირითადი პირობა უნდა იყოს ტექნიკური გაუმჯობესების ტემპის მკვეთრი გაძლიერება მრეწველობის ყველა დარგში საწარმოო პროცესების ელექტროფიკაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, დიდი წარმადობის უახლესი ჩარხების, მანქანებისა და აპარატების დანერგვის, წარმოების ტექნოლოგიის განუწყვეტელი გაუმჯობესების, ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების ბაზაზე.

2. საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ ფართო მასშტაბით გაჩაღდეს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო მუშაობა დიდი წარმადობის ჩარხების, ავტომატური ხაზების, მექანიკური სამჭედლო-სატვიფრავი და ჰიდრავლიკური წნეხების, სამჭედლო-საწნეხო ავტომატების, სამსხმელო მოწყობილობის, ორთქლის მძლავრი ტურბინებისა და ტურბინგენერატორების, ჰიდროტურბინებისა და ჰიდროგენერატორების, დიდი ორთქლმწარმოებლობის ქვაბების, გაზტურბინის დანადგარებისა და დიზელების, გაზტურბმავლების, თბომავლებისა და ელექტრომავლების, ავტომატიზებული საგლინავი დგანების, სამთო მოწყობილობის, საწარმოო პროცესების ავტომატური კონტროლისა და მართვის ხელსაწყოების შესაქმნელად. მოწესრიგდეს იმ სამუშაოთა დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, რომლებსაც საწარმოები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი ასრულებენ ახალი ტექნიკის დასანერგავად.

3. დაევალოთ მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებსა და საწარმოთა დირექტორებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი მოქმედი ფაბრიკა-ქარხნების ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის — მოძველებული მოწყობილობის ახალი, უფრო დიდი წარმადობის მოწყობილობით შესაცვლელად, აგრეთვე დადგმული მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის. ჩარხმშენებლობისა და მრეწველობის სხვა დარგების ქარხნებში მოეწყოს წარმოება საჭირო მოსარგისების, კვანძებისა და აგრეგატებისა ჩარხების, მანქანებისა და სხვა მოწყობილობისათვის, რომელსაც ისინი წინათ უშვებდნენ, რათა მნიშვნელოვნად გადიდდეს ამ მოწყობილობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. მიაღწიონ სამრეწველო პროდუქციის მაქსიმალურ გამოშვებას არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა უკეთ გამოყენების გზით.

4. შავ და ფერად მეტალურგიაში ფართოდ გაავრცელონ მოწინავე საწარმოების გამოცდილება საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაციის დარგში, მათ შორის: საბრძმედე და ფოლადდნობის წარმოებაში ჟანგბადის ბერვის გამოყენების, რკინის მადნების გაშუალედების, გამდნობადებული აგლომერატის, დიდად ცეცხლგამძლე ნაწარმის ფართოდ გამოყენების დარგში.

უზრუნველყონ მოპოვებულ მადნებში სასარგებლო კომპონენტების კომპლექსური გამოყენება და ფერადი ლითონებისა და გოგირდოვანი ნედლეულის დანაკარგის მკვეთრი შემცირება წარმოების ყველა სტადიაში.

მიიღონ ღონისძიებანი საინსტრუმენტო, დაბალ ლეგირებულ ფოლადთა და სიცხეგამძლე შენადნობთა, ხალას ფერად და იშვიათ ლითონთა, აგრეთვე მაღალხარისხოვანი ელექტროტექნიკური ფოლადის, ნაგლინის ახალ ეკონომიურ სახეობათა და პროფილთა წარმოების გასაფართოებლად.

აითვისონ ძნელდნობადი ლითონების (ვოლფრამის, ტანტალის, მოლიბდენისა და სხვა ლითონების) ახალ მაგნიტურ შენადნობთა წარმოება ელექტრონიკისა და ელექტროვაკუუმური მრეწველობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. საჭიროდ იქნას მიჩნეული ალუმინის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდება.

5. ქვანახშირის მრეწველობაში გაუმჯობესდეს არსებული მანქანებისა და მექანიზმების გამოყენება, გაჩაღდეს მუშაობა იმისათვის, რომ შახტებში შეიქმნას და დაინერგოს ახალი სამთო ტექნიკა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ქვანახშირის ტვირთვის, დამრეცი და დახრილი ვარდნის ფენებზე საწმენდ სანგრევებში ჭერის გამაგრებისა და მართვის, სამთო გვირაბების გაყვანის, ქვანახშირის ამოღებისა და გადატანის დამხმარე ოპერაციათა მექანიზაციის ტემპის გაძლიერებას, რათა სავსებით დამთავრდეს ქვანახშირის ამოღების პროცესების კომპლექსური მექანიზაცია; მიიღონ ღონისძიებანი შახტების საპროექტო სიმძლავრეთა რაც შეიძლება მალე ასათვისებლად, ყოველი ღონისძიებით განავითარონ ქვანახშირის გამდიდრება და დაბრიკეტება.

გააძლიერონ სამუშაოები, რათა გამოინახოს, დაპროექტდეს და დაინერგოს ქვანახშირის საბადოების გახსნისა და დამუშავების ახალი უფრო ეფექტიანი მეთოდები და სისტემები, უფრო ფართოდ დანერგონ ქვანახშირის ამოღების ღია და ჰიდრავლიკური ხერხები.

6. ნავთობის მრეწველობაში უზრუნველყონ ნავთობის ამოღების პროგრესული მეთოდების ფართოდ გამოყენება: ფენობრივი წნევის დაცვა კონტურსიქითა წყალჩატუმბვის გზით, მეორადი მეთოდები და ნავთობის ფენათა ჰიდრავლიკური განცალკევება. გაავრცელონ ჭაბურღილების ჩქაროსნული ბურღვის მოწინავეთა გამოცდილება, უფრო ფართოდ გამოიყენონ ხურღვის ტურბინული წესი და ახალი წარმადი ჩარხები, ჭაბურღილთა მშენებლობა გადაიყვანონ ინდუსტრიულ მეთოდებზე, მოახდინონ მოსამზადებელ და კომშკურების სამონტაჟო სამუშაოთა მექანიზაცია, ჩატანა-ამოტანის ოპერაციათა ავტომატიზაცია, მკვეთრად გაადიდონ ჭაბურღილების ბურღვის სიჩქარე.

ფართოდ დანერგონ კატალიზური პროცესები ნავთობის ნედლეულის გადამუშავების ტექნოლოგიაში, უზრუნველყონ გამჭვირვალე ნავთობბროდუქტების გამოსავლის გადიდება და მაღალხარისხოვანი მოტორული სათბობებისა და ზეთების ასორტიმენტის გაფართოება.

7. ქიმიურ მრეწველობაში უფრო ფართოდ გააჩაღონ მუშაობა დიდად კონცენტრირებული მინერალური სასუქების, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებთან და დაავადებასთან საბრძოლველი შხამქიმიკატების წარმოების ასათვისებლად; გაადიდონ ბუნებრივი და ნავთობის გაზების გამოყენება, რომლებიც უნდა გახდნენ სინთეზური კაუჩუკის, ხელოვნური ბოჭკოს, სარეცხ საშუალებათა და სხვა პროდუქციის წარმოების ძირითადი სანედლეულო ბაზა; მიიღონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ სახალხო მეურნეობა უზრუნველყოფილ იქნას ახალ სახეობათა სპეციალური კაუჩუკებით, პლასტიკური მასებით, საღებრეხით, ლაქებითა და საღებავებით.

8. შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს სათბობის ხვედრითი ხარჯვა თბოენერგიისა და ელექტროენერგიის გამოსამუშაებლად, ელექტროენერგიის ხარჯვა ელექტროსადგურთა საკუთარი საჭიროებისათვის, ელექტროენერგიის დანაკარგი ქსელებში, აგრეთვე ელექტროსადგურებისა და ქსელების მუშაობის საამედოობის შემდგომი გადიდებისათვის. უზრუნველყონ, რომ რაც შეიძლება მალე მიღწეულ იქნას დაპროექტებული ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები მაღალი წნევის მოქმედ დანადგარებზე. განახორციელონ ელექტროსადგურებისა და ქსელების მშენებლობა იმ ვარაუდით, რომ ენერგეტიკულ სიმძლავრეთა ზრდა წინ უსწრებდეს მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებას.

9. სატყეო მრეწველობაში უზრუნველყონ მერქნის დამზადების, გამოზიდვის, ტივებად შეკვრისა და დატვირთვის საწარმოო პროცესების შემდგომი მექანიზაცია. მიიღონ ღონისძიებანი მერქნის სათრეველების გასაუმჯობესებლად, ერთ მუშაზე ტექნიკის გამოყენებისა და გამომუშაევების დონის მნიშვნელოვანი ამაღლებისათვის, ამასთან ეს მრეწველობა აღჭურვონ უფრო დიდი წარმადობის მანქანებით.

10. განახორციელონ მასობრივი მოხმარების რადიოტექნიკური აპარატურის (რადიომაუწყებლობის მიმღებები, ტელევიზორი, რადიოკავშირგაბმულობის, სადენიანი კავშირგაბმულობის საშუალებანი და სხვ.) წარმოების გადაყვანა ნაკადურ ხაზებზე ავტომატების ფართოდ გამოყენების, ნაბეჭდი სქემების, უნიფიცირებული და ნორმალიზებული რადიოდეტალების კვანძებისა და მექანიზმების დანერგვის გზით; გადაწყვიტონ თანამედროვე ელექტროვაკუუმურ და ნახევრადგამტარ ხელსაწყოებზე, სინათლის წყაროებზე ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ამოცანა, აგრეთვე მოაწყონ რადიორელესადგურებისა და ულტრამოკლეტალღიანი სადგურების, ფოტოტელეგრაფისა და რადიოსაზომი აპარატურის მსხვილსერიული წარმოება.

11. გააჩაღონ მუშაობა, რათა, რაც შეიძლება უფრო სრულად იქნას გამოყენებული წარმოების სხვადასხვა ნარჩენი და თანმხლები პროდუქტები, რომლებიც იაფ ნედლეულს წარმოადგენენ სინთეზური მასალების, სპირტის, კაუჩუკის, გლიცერინის, პექტინის წებოს, სარეცხი საშუალებების, გოგირდმჟავას, ხელოვნური ბოჭკოს და სხვა ქიმიკატების მისაღებად, რომელთა წარმოებაზეც ახლა იხარჯება სასურსათო მარცვლეული, კარტოფილი, საქმელი ცხიმეული და სხვა ძვირფასი პროდუქტები.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

# მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1955 წლის 11 ივლისს ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო

(გაგრძელება)

12. დაევალოს მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებს, ტექნიკურ სამმართველოთა და მთავარ სამმართველოთა უფროსებს, საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების დირექტორებსა და მთავარ ინჟინრებს:

ახალ საწარმოთა დაპროექტებისა და მოქმედ საწარმოთა გაფართოებისას გაითვალისწინონ ყველაზე მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მოწინავე საწარმოებში მიღწეულ მაჩვენებლებთან შედარებით;

მანქანებისა და მოწყობილობის დაპროექტებისას გაითვალისწინონ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა, მოწინავე გამოცდილებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა სწრაფად დანერგვის აუცილებლობა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მანქანების, ჩარხებისა და მოწყობილობის წარმადობის, ეკონომიურობის, საექსპლოატაციო საიმედოობის გადიდებას და მათი წონის შემცირებას, აგრეთვე წარმოებაში ლითონის ხარჯის შემცირებას. მშენებლობაში ლითონის ეკონომიის მიზნით უზრუნველყონ ბეტონისა და რკინაბეტონის ფართოდ დანერგვა;

გააქტიურონ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლების, საკონსტრუქტორო ბიუროებისა და საქარხნო ლაბორატორიების მუშაობა, მიაყრონ მათი ყურადღება იმ ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში; გააფართოონ საწარმოთა, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა ლაბორატორიების საექსპერიმენტო ბაზა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ მათი ტექნიკური აღჭურვილობა;

გააუმჯობესონ მუშაობა გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან, დროულად მიიღონ ღონისძიებანი მათი წინადადებების მრეწველობაში დანერგვისათვის.

13. მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სამუშაოთა გაფართოების, საწარმოო პროცესების ნაწილობრივი ავტომატიზაციიდან კომპლექსურ ავტომატიზაციაზე გადასვლის მიზნით საჭიროდ ჩაითვალოს, რომ მნიშვნელოვნად გადიდდეს ავტომატიკის ხელსაწყოთა და საშუალებათა წარმოება და გაუმჯობესდეს ხელმძღვანელობა ხელსაწყოთმშენებელი მრეწველობისადმი. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს მრეწველობის ამ დარგის მნიშვნელოვნად განვითარებისა და განმტკიცების საკითხი.

14. დაევალოს სსრ კავშირის სახტექნიკას, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას, სამინისტროებსა და უწყებებს გაუმჯობესონ მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის ორგანიზაცია, გააფართოონ ურთიერთობა უცხოეთის ქვეყნების სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან, მეცნიერული და ტექნიკური ინფორმაციის გაცვლა, აგრეთვე უცხოეთის ტექნიკური ლიტერატურის შეძენა. მოაწესრიგონ მოწინავე გამოცდილების ურთიერთგაზიარების ორგანიზაცია, გაუმჯობესონ ტექნიკური ინფორმაციის სამსახურთა მუშაობა სამინისტროებში, უწყებებსა და საწარმოებში.

15. საჭიროდ იქნას მიჩნეული მოეწყოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების მუდმივად მოქმედი გამოფენა იმ მიღწევების ჩვენებისა და პროპაგანდის მიზნით, რომლებიც მოპოვებულია მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მშენებლობაში.

## III.

## მრეწველობაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაფართოებისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება, როგორც წარმოების ორგანიზაციის ეკონომიურად ყველაზე მიზანშეწონილი ფორმები, ჯერ კიდევ საკმაოდ არ განვითარებულა.

ბევრ სამრეწველო საწარმოს ფართო საწარმოო პროფილი აქვს, უშვებს დიდი და მრავალფეროვანი ნომენკლატურის ნაკეთობას. ერთნაირი და ერთი და იმავე ტიპის მექანიზმების, კვანძებისა და დეტალების წარმოება დაქაოსულია ბევრ არასპეციალიზებულ საწარმოში.

იმასთან დაკავშირებით, რომ სპეციალიზებული სამსხმელო და სამჭედლო-საწნეხი ქარხნები არ არის, სხმული და ნაჭედი დიდი რაოდენობით სრულდება წვრილ, არასაკმაოდ მექანიზებულ საამქროებში მცირე წარმადობის მოწყობილობით და ძვირი ჯდება. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა ლითონის ნაკეთობათა, ნორმალური საჭრელი და საზომი ინსტრუმენტის წარმოებაშიც.

სათადარიგო ნაწილებს მეტი წილი მანქანებისა და მოწყობილობის რემონტისათვის, როგორც წესი, თვითეული საწარმო ამზადებს თავისი საჭიროებისათვის კუსტარულად, რაც იწვევს საწარმოების სარემონტო სამსახურთა გაუმართლებელ გაფართოებას და უდიდეს მატერიალურ ხარჯებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს არანორმალურად მიაჩნია შექმნილი მდგომარეობა, რომლის დროსაც ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომობილების სათადარიგო ნაწილების წარმოება დაქსაქსულია ბევრ არასპეციალიზებულ ქარხანაში. ეს იწვევს ლითონის გადახარჯვას, დეტალების მნიშვნელოვან გაძვირებას და დიდ დანაკარგებს წარმოებაში.

სამინისტროებში, უწყებებსა და საწარმოებში მეტად სუსტად წარმოებს მუშაობა ნაკეთობათა, კვანძებისა და დეტალების უნიფიკაციისა და ნორმალიზაციისათვის.

ყოველივე ეს აფერხებს მსხვილ-სერიული და მასობრივ-ნაკადური წარმოების განვითარებას, აძნელება საწარმოების მართვას და მოწინავე ტექნიკის დანერგვას, ხელს უშლის საწარმოო სმძლავრეთა სრულად გამოყენებას, აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას და ადიდებს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს სამინისტროებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს აღმოფხვრან აღნიშნული ნაკლოვანებანი და უზრუნველყონ საწარმოთა ფართო სპეციალიზაცია მასობრივ-ნაკადური წარმოების მოწყობით და კოოპერირება მრეწველობაში.

2. დაევალოს სამინისტროებს, უწყებებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ კომისიას მიიღონ ღონისძიებანი სტანდარტიზებული, ნორმალიზებული და უნიფიცირებული დეტალების, კვანძებისა და ნაკეთობათა ნომენკლატურის გაფართოებისათვის და მათი წარმოების მოწყობისათვის სპეციალიზებულ ქარხნებში უახლესი ტექხოლოგიით.

3. საჭიროდ იქნას ცნობილი მოწესრიგდეს სარემონტო მეურნეობა, იმის გათვალისწინებით, რომ რემონტი ძირითადად განისაზღვროს დეტალების, კვანძებისა და აგრეგატების შეცვლის ოპერაციებით. ამ მიზნით გათვალისწინებულ იქნას სათადარიგო ნაწილების, კვანძებისა და აგრეგატების წარმოების მოწყობა მრეწველობის შესაბამისი დარგების სპეციალიზებულ საწარმოებში.

4. დაევალოს საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ კომისიას და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაამყარონ წესრიგი ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და ავტომობილების სათადარიგო ნაწილების წარმოებაში, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული დეტალების მასობრივი წარმოება მოეწყოს სპეციალიზებულ ქარხნებში ნაწარმის შეზღუდული ნომენკლატურით სავსებით თანამედროვე ტექნოლოგიის საფუძველზე.

5. დაევალოს სამინისტროებს, უწყებებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ კომისიას:

მომამზადონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განსახილველად წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ ქვეყნის სხვადასხვა რაიონში შეიქმნას მაღალი წარმადობის მოწყობილობით აღჭურვილი სპეციალიზებული სამსხმელო, სამჭედლო-საწნეხი, ლითონის ნაკეთობისა და ხისდამამუშავებელი ქარხნები, რომლებშიც გამოყენებულ იქნას უახლესი ტექნოლოგია იმისათვის, რომ სხმულით, ნატვიფრით, ნაჭედითა და პლასტმასის და ხის ნაწარმით უზრუნველყოფილ იქნან მოცემულ რაიონში განლაგებული სამრეწველო საწარმოები, დამოუკიდებლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

განახორციელონ დეტალების, კვანძებისა და ნაკეთობათა წარმოების რაციონალური განაწილება საწარმოებსა და სამინისტროებს შორის, თვითეული საწარმოს მიერ დამზადებული პროდუქციის ნომენკლატურის მაქსიმალური შემცირებისათვის და მრეწველობაში მაქსიმალური სპეციალიზაციისა და კოოპერირების მიღწევისათვის. ასეთი საწარმოები უნდა შეიქმნას ეკონომიური რაიონების მიხედვით, ნედლეულის წყაროებთან და მოხმარების ადგილებთან მათი მიახლოების მიზნით.

6. დაევალოს მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებს და საწარმოთა დირექტორებს უზრუნველყონ კოოპერირებულ მიწოდებათა გეგმის უთუოდ შესრულება დადგენილ ვადებში.

სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურმა კომისიამ დააწესოს სასტიკი კონტროლი დროულ მიწოდებაზე საუწყებათაშორისო კოოპერაციაში.

## IV.

## მოწინავე ტექნიკისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების ბაზაზე ავიყვანოთ შრომის ნაყოფიერება ახალ საფეხურზე

ხელმძღვანელობს რა ვ. ი. ლენინის მითითებით, რომ შრომის ნაყოფიერება, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის, კომუნისტური პარტია სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელ ზრდას. შრომის ნაყოფიერების გადიდება განსაზღვრავს წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, რეალური ხელფასის ზრდას, ხალხის ცხოვრების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის საერთო აღმავლობას.

შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 1955 წელს 1950 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გადიდდება. ამის საფუძველზე მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი მრეწველობაში 1955 წელს ომამდელ დონესთან შედარებით გაიზრდება 90 პროცენტით და მეტით. ამას უზრუნველყოფს, უწინარეს ყოვლისა, წარმოებაში უახლესი მანქანებისა და მექანიზმების დანერგვა, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფა, მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების კულტურული და ტექნიკური დონის ამაღლება და სოციალისტური შეჯიბრების განვითარება.

მაგრამ სამინისტროები და საწარმოები არ იყენებენ მრეწველობაში არსებულ მთელ რეზერვებს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. სრულიად შეუწყნარებელია ისეთი ფაქტები, რომ სამინისტროების ხელმძღვანელთა წაყრუებით ბევრი საწარმო არ ასრულებს დავალებებს შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში, ჰყავს ზედმეტი მუშები, განსაკუთრებით დამხმარე ოპერაციების შესასრულებლად, და ამის გამო ურიგდება ხელფასის ფონდების გადახარჯვას.

შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა შეუსრულებლობა ახალი ტექნიკის ნელა დანერგვისა და არსებული ტექნიკის ცუდი გამოყენების, წარმოების არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის, შრომისა და ხელფასის დანორმვის მოუწესრიგებლობის, აგრეთვე შრომითი და საწარმოო დისციპლინის დარღვევის შედეგია.

მთელ რიგ საწარმოებში ფართოდ გავრცელდა გამომუშავების შემცირებული, ეგრეთწოდებული საცდელ-სტატისტიკური ნორმების დაწესების პრაქტიკა, რომლებიც არ შეეფერება ტექნიკის განვითარებისა და წარმოების მოწინავე ორგანიზაციის თანამედროვე დონეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ სატარიფო ცხრილები და განაკვეთები მოძველდა და ჩამორჩება ხელფასის გაზრდილ დონეს, გამომუშავების ნორმებს აწესებენ არა ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე მუშების გამოცდილების საფუძველზე, არამედ ხელოვნურად უფარდებენ ხელფასის მიღწეულ დონეს.

შრომის დანორმვა და ხელფასის სისტემა ბევრ საწარმოში ზედმეტად გართულებულია და ნაკლებად გასაგებია მუშებისათვის, ხოლო მთელი რიგი სამინისტროებისა და საწარმოების ხელმძღვანელები საკმაოდ არ მუშაობენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეზე. გამომუშავების ნორმების გადასინჯვისას ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების რაოდენობა თითქმის არ იზრდება, ხოლო ჩარხმშენებელ და საინსტრუმენტო მრეწველობაში 1955 წელს კიდევაც შეჰკირდა.

ზოგიერთი სამინისტროს და საწარმოს ხელმძღვანელები გამომუშავების ნორმების გადასინჯვისას სათანადო ყურადღებას არ აქცევენ წარმოებაში იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას, რომლებიც მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს შეაქვთ. ოსტატები, ტექნოლოგები, საამქროების უფროსები საკმაოდ არ სწავლობენ წარმოების ნოვატორთა მუშაობის მეთოდებს, ნაკლებად ზრუნავენ დიდი წარმადობის ინსტრუმენტებისა და სამარჯვეების დანერგვისათვის, რომლებსაც მოწინავე მუშები იყენებენ.

მძლავრი ძალა, რომელიც ამსხვრევს მუშაობის ძველ, ჩამორჩენილ ნორმებსა და მეთოდებს და შემოაქვს ახალი, პროგრესული ნორმები და მეთოდები, არის სოციალისტური შეჯიბრება. მაგრამ ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები, აგრეთვე პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას და სუსტად ავრცელებენ მოწინავე გამოცდილებას მრეწველობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს მინისტრებს და უწყებათა ხელმძღვანელებს, რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, საკავშირო პროფსაბჭოს პარტჯგუფებს, პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებსა და მათს ადგილობრივ ორგანოებს მთავარი ყურადღება მიაქციონ შრომის ორგანიზაციასა და დანორმვაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, ხელფასის მოწესრიგებას, მუშათა შრომის პირობებისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას, რათა განუხრელად ამაღლდეს შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში და ამის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას მუშებისა და მოსამსახურეების რეალური ხელფასის განუწყვეტელი ზრდა. ამისათვის აამოქმედონ წარმოების უზარმაზარი რეზერვები და, უწინარეს ყოვლისა, უფრო ფართოდ გამოიყენონ საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ყოველდღიურად იმუშაონ ახალი ტექნიკის დანერგვასა და მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციაზე, მთლიანად გამოიყენონ არსებული სმძლავრენი, გააუმჯობესონ წარმოების ტექნოლოგია და ორგანიზაცია.

თანმიმდევრულად განახორციელონ ხელფასის ორგანიზაციაში ლენინური პრინციპი მუშაკთა მატერიალური დაინტერესებისა მათი შრომის შედეგებით. უზრუნველყონ საწარმოებში გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების ფართოდ გამოყენება, რომლებიც შეეფერება ტექნიკის განვითარებისა და წარმოების ორგანიზაციის თანამედროვე დონეს; გაუმჯობესონ შრომის ორგანიზაცია საწარმოებში, ყველა მუშას შეუქმნან მაღალნაყოფიერი მუშაობის პირობები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა განახორციელოს ინსპექტირება და კონტროლი სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა მუშაობისადმი შრომისა და ხელფასის საკითხებში.

2. მინისტრების, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელების, პარტიული და პროფკავშირული ორგანოების ყურადღება მიექცეს იმას, რომ საჭიროა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი მუშათა მომზადებაში, მათი კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლებაში, რაც შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

3. დაევალოს საკავშირო პროფსაბჭოს პარტიულ ჯგუფს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის დარგში, პროფესიული კავშირების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ამ საქმეში ფორმალიზმის აღმოფხვრისათვის, მოწინავე მუშათა და წარმოების ნოვატორთა გამოცდილების უფრო ფართოდ გავრცელებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და მიაღწიონ მუშათა და მოსამსახურეთა შრომის ნაყოფიერებისა და მატერიალური კეთილდღეობის გადიდებას.

პროფკავშირებმა უფრო აქტიურად უნდა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი შრომისა და ხელფასის დანორმვაში, უფრო მტკიცედ აწარმოონ ბრძოლა მუშათა და მოსამსახურეთა შრომისა და ყოფაცხოვრებისადმი ბიუროკრატული დამოკიდებულების წინააღმდეგ, უზრუნველყონ სამეურნეო ორგანიზაციების მიერ კოლექტიურ ხელშეკრულებათა შესრულება.

შესაბამისად პარტიის გადაწყვეტილებებისა და დიდი ლენინის მითითებებისა პროფკავშირების როგორც კომუნიზმის სკოლის როლის შესახებ, საჭიროა პროფკავშირული მუშაობა აიყვანონ ახალ უფრო მაღალ დონეზე.

## V.

## ვაუმჯობესოთ მრეწველობის მმართველობა

იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც მიიღეს სსრ-ჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მრეწველობის მმართველობა ამ უკანასკნელ ხანს გაუმჯობესდა. მაგრამ მმართველობის სტრუქტურა ჯერ კიდევ რთული, მრავალსაფეხურიანია. სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა აპარატში ბევრია ზედმეტი, პარალელურად მოქმედი რგოლი, ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატები ჯერ კიდევ დიდია. ამის გამო მმართველობის აპარატს არა აქვს სათანადო მოქნილობა, მნიშვნელოვნად მოწყვეტილია წარმოებას, მუშაკთა დიდი რაოდენობა უშუალო მონაწილეობას ვერ იღებს მატერიალურ ფასეულობათა შექმნაში.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება საჭირო ღონისძიებებს არ იღებს, რათა დაუახლოოს მმართველობის აპარატი სამრეწველო საწარმოთა განლაგების ადგილებს. როგორც წესი, თავარი სამმართველოები და ბევრი ტრესტი მოსკოვში ან მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებშია, ისინი შორს არიან მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთაგან. საწარმოო ბაზას მოწყვეტილია აგრეთვე ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება.

მრეწველობის მთელ რიგ დარგებში შექმნილია მმართველობის ზომაზე მეტი ცენტრალიზაცია, რაც ხელს უშლის საწარმოთა ოპერატიულ და კონკრეტულ ხელმძღვანელობას და ამცირებს რესპუბლიკათა სამეურნეო, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების პასუხისმგებლობას მრეწველობის მუშაობისათვის.

ბევრი საწარმოს მუშაობის სერიოზული ნაკლი ის არის, რომ პროდუქციას უთანაბროდ უშვებენ თვის განმავლობაში, რის შედეგადაც ეს საწარმოები შეფერხებით მუშაობენ, მათი საწარმოო სიმძლავრეები მთლიანად არ არის გამოყენებული, მატულობს წუნი და იზრდება პროდუქციის თვითღირებულება. მთელი რიგი სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები, აგრეთვე ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები შეეჩვევნენ ასეთ მოვლენას და სათანადო ღონისძიებებს არ იღებენ, რათა მოაგვარონ საწარმოთა რიტმული მუშაობა, გაუმჯობესონ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, კოოპერირებული მიწოდების საქმე და აღმოფხვრან წარმოების ორგანიზაციისა და დაგეგმვის ნაკლოვანებანი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ ამჟამად სარეწაო კოოპერაციის ბევრ დარგს აღარა აქვს შინამრეწველურ-კოოპერაციული წარმოების ხასიათი და არსებითად არ განსხვავდება მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო მრეწველობის საწარმოთაგან, რადგან სახელმწიფოსაგან იღებენ საჭირო მოწყობილობას და ნედლეულს წარმოებისათვის. მაგრამ სარეწაო კოოპერაციის წარმოების დონე და ნაწარმის ხარისხი მეტად დაბალია, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება მაღალია. სარეწაო კოოპერაციის საქმიანობისადმი ცუდი კონტროლის გამო ბევრ არტელში დატაცება და გაფლანგვა ხდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებს, რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს თანმიმდევრულად განახორციელონ სახელმწიფოს მმართველობის ლენინური პრინციპები, გადაჭრით გაუმჯობესონ ხელმძღვანელობა მრეწველობისადმი, აღმოფხვრან ბიუროკრატული დამახინჯებანი აპარატის მუშაობაში და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება. სამინისტროები და უწყებები უნდა ეწეოდნენ ორგანიზატორულ მუშაობას და ფაბრიკა-ქარხნების, შახტებისა და მშენებლობათა ინსპექტირებას, განაზოგადებდნენ და ნერგავდნენ მოწინავე გამოცდილებასა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

საჭიროა განვაგრძოთ მუშაობა მრეწველობის მმართველობის სტრუქტურის მოსაწესრიგებლად, სამინისტროებსა და საწარმოებს შორის ზედმეტი ორგანიზაციული რგოლების გასაუქმებლად, წარმოებასთან მმართველობის აპარატის დასაახლოებლად, გავხადოთ აპარატი უფრო ეკონომიური, რაოდენობით მინიმალური, მაგრამ ძლიერი, საქმიანი და მოქნილი.

2. დაევალოს მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს, მთავარ სამმართველოთა უფროსებსა და საწარმოთა დირექტორებს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი წარმოების მმართველობაში, მოსპონ ზედმეტი განყოფილებანი საქარხნო სამმართველოებსა და წარმოებაში, გაერთიანონ, ხოლო იქ, სადაც ეს საჭიროა, გააუქმონ წვრილი საამქროები და უბნები.

საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ გაფართოვდეს საწარმოთა დირექტორების, საამქროთა უფროსებისა და ოსტატების უფლებები.

3. განაგრძონ მუშაობა იმ მხრივ, რომ სულ უფრო დაუქვემდებარონ რესპუბლიკებს საკავშირო მრეწველობის იმ საწარმოთა ნაწილი, რომლებიც ამ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე იმყოფება, აგრეთვე იმ მხრივ, რომ მთავარი სამმართველოები, ტრესტები, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებანი და საპროექტო ინსტიტუტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებიდან გადაიყვანონ იმ ადგილებში, სადაც თავმოყრილია მრეწველობის შესაბამისი დარგები.

4. დაევალოს მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს აღმოფხვრან სამინისტროთა კოლეგიებისა და უწყებათა მუშაობის ნაკლოვანებანი, უზრუნველყონ, რომ საკითხის კოლეგიური განხილვა შეხამებული იყოს კოლეგიის წევრთა პირად პასუხისმგებლობასთან იმ მოვალეობის ზუსტად და განუხრელად შესრულებისათვის, რომელიც მათ აკისრიათ მრეწველობის შესაბამისი დარგების ხელმძღვანელობაში.

გაფრთხილებულ იქნან მინისტრები და მათი მოადგილეები, უწყებათა ხელმძღვანელები, საწარმოთა დირექტორები და მთავარი ინჟინრები, რომ მათ აკისრიათ პირადი პასუხისმგებლობა მოწინავე ტექნიკის დანერგვის გეგმების შესრულებისათვის და რომ მათ მთავარი ღონისძიებანი უნდა წარმართონ მრეწველობის იმ დარგებსა და საწარმოებში ტექნიკის უსწრაფესი განვითარებისათვის, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ.

5. დაევალოს მინისტრებს, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ საწარმოთა რიტმული მუშაობა და პროდუქციის თანაბარი გამოშვება მიცემული გეგმის შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წარმოების შეუფერხებელ მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, დაგეგმვისა და ორგანიზაციის საქმის გაუმჯობესებას.

6. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განიხილოს მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხი.

7. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ კომისიას, სამინისტროებსა და უწყებებს გააუმჯობესონ დაგეგმვა მრეწველობაში, უზრუნველყონ, რომ საწარმოებს დროზე დაეგზავნოთ წლიური და კვარტალური გეგმები ისეთი ვარაუდით, რომ ყოველ საწარმოს

(დასასრული მე-3 გვერდზე)

# მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ამოცანების შესახებ

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება, მიღებული 1955 წლის 11 ივლისს ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გამო

(დასასრული).

ექნეს შესაძლებლობა განახორციელოს წარმოების საჭირო მომზადება ყველა მაჩვენებლის მიხედვით გეგმების შესასრულებლად.

8. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული სარეწაო კოოპერაციის რეორგანიზაცია, გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფო მრეწველობისათვის იმ არტელების გადაცემა, რომლებსაც აღარა აქვთ კოოპერაციული წარმოების ხასიათი. უზრუნველყოფილ იქნას სარეწაო კოოპერაციის ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება და თვითღირებულების შემცირება.

### VI.

### გავაუმჯობესოთ მუშაობა მრეწველობის ხელმძღვანელ კადრებთან და სპეციალისტებთან

კომუნისტურმა პარტიამ უდიდესი მუშაობა გასწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის სპეციალისტების მომზადების საქმეში. ამჟამად სოციალისტურ მრეწველობას ჰყავს გამოცდილი, მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებმაც ორგანიზაციული მუშაობის დიდი სკოლა გაიარეს.

მაგრამ მრეწველობის ხელმძღვანელ კადრებთან და სპეციალისტებთან მუშაობას, აგრეთვე სპეციალისტების მომზადების, განაწილებისა და გამოყენების დაგეგმვას ჯერ კიდევ აქვს ნაკლოვანებანი. ბევრი სპეციალისტი მუშაობს მმართველობის აპარატში და გამოყენებული არ არის უშუალოდ წარმოებაში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, ლაბორატორიებსა და ტექნოლოგიურ განყოფილებებში. ზოგიერთი სამინისტროს, უწყებისა და წარმოების ხელმძღვანელები, აგრეთვე ცალკეული პარტიული ორგანოები საკმაოდ არ აწინაურებენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ნიჭიერ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს წარმოებაში.

ტექნიკის განუწყვეტელი სრულყოფა მოითხოვს მუშაკთა კვალიფიკაციის ყოველდღიურად ამაღლებას. მაგრამ მრეწველობის ბევრ დარგში უზრუნველყოფილი არ არის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება. დამაკმაყოფილებლად არ არის ორგანიზებული სპეციალისტთა საღამოს და დაუსწრებელი მომზადება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს სწორად არ მიაჩნია, რომ იმ უმაღლეს სასწავლებელთა უმრავლესობა, რომლებიც კადრებს ამზადებენ მრეწველობისათვის, თავმოყრილია სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში, ხოლო ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში ისინი საკმაო როდია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებს, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს ყოველი ღონისძიებით აუმჯობესონ ხელმძღვანელი კადრების თვისებრივი შემადგენლობა, განამტკიცონ საწარმოები, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები საქმის კარგად მცოდნე მუშაკებით, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ ახალი ტექნიკის განუხრელი ზრდა და დანერგვა და წარმოებისადმი კვალიფიციური ხელმძღვანელობა.

2. წინადადება მიეცეს მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს გააუმჯობესონ მუშაობა კადრებთან, მზრუნველობით გამოზარდონ და უფრო გაბედულად დააწინაურონ ხელმძღვანელ სამუშაოზე ნიჭიერი ახალგაზრდა სპეციალისტები, შექმნან საჭირო პირობები მათი შემოქმედებითი ზრდისათვის. ახალგაზრდა სპეციალისტების დაწინაურებასთან ერთად მუშაობაში დააწინაურონ აგრეთვე საუკეთესო სპეციალისტი პრაქტიკოსები, მისცენ მათ შესაძლებლობა მიიღონ ტექნიკური განათლება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

3. საჭიროდ ჩაითვალოს, რომ როგორც წესი, უმაღლეს სასწავლებელთა კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები გაიგზავნონ უშუალოდ საწარმოებში და მხოლოდ მას შემდეგ, რაც საკმაო საწარმოო გამოცდილებას მიიღებენ, ნებადართულ იქნას მათი გამოყენება სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტებში სამუშაოდ; გადიდდეს საშუალო ტექნიკური განათლების მქონე მოსამზადებელი სპეციალისტების რაოდენობა; ფართოდ გაჩაღდეს პრაქტიკოსთა რიცხვიდან ინჟინრებისა და ტექნიკოსების მომზადება წარმოებისაგან მოუწყვეტლივ; ბოლო მოეღოს ხელმძღვანელი მუშაკების ხშირ ცვლას და აღებულ იქნას მრეწველობის ყველა დარგში მუდმივი კადრების მომზადების მტკიცე კურსი.

### VII.

### სახელმწიფო გეგმა კანონია თვითეული სამინისტროსათვის, მთავარი სამმართველოსათვის, საწარმოსათვის

მეურნეობის სოციალისტური სისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემასთან შედარებით არის სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება. მთელი მრეწველობა და მეტი წილი საწარმოები გეგმიან დავალებებს წლითიწლობით არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებენ.

მაგრამ არის საწარმოები და მრეწველობის ცალკეული დარგებიც კი, რომლებიც ვერ ასრულებენ სახელმწიფო გეგმას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განსაკუთრებით აღნიშნავს იმ შეუწყნარებელ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა სატყეო და თევზის მრეწველობაში, რომლებიც სისტემატურად ვერ ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს, რითაც დიდ ზარალს აყენებენ სახალხო მეურნეობას.

მთელი რიგი სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების მუშაობაში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა მანკიერი პრაქტიკა, როცა გეგმები საერთოდ სრულდება, მაგრამ არ სრულდება დავალებანი ნაწარმის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მიხედვით. ბევრი საწარმო დაბალი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სამეურნეო და პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ჯერ კიდევ არ წარმოებს სათანადო ბრძოლა წარმოების ეკონომიურ მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის. ქმედით ღონისძიებებს არ იღებენ შინაარეზერვების მობილიზაციისათვის, ნედლეულის, მასალების, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიისათვის, უნაყოფო ხარჯების შემცირებისათვის. ჯერ კიდევ დიდია პროდუქციის წუნით, გაფუჭებითა და სორტის გაუარესებით გამოწვეული დანაკარგი.

სამინისტროები, უწყებები და საფინანსო ორგანოები ჯერ კიდევ ვერ უწევენ საკმარის კონტროლს მანეთით საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას. ზოგიერთი სამინისტრო, უწყება, საწარმოს ხელმძღვანელი და პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას არ აქცევს სამეურნეო ანგარიშის, როგორც მეურნეობის გაძღოლის ძირითადი მეთოდის, განმტკიცებას. ნაცვლად იმისა, რომ უზრუნველყონ თვითეული საწარმო ასრულებდეს დაგროვების გეგმას, ზოგიერთი სამინისტრო ცუდად მომუშავე საწარმოების სუბსიდიერ საშუალებათა დანაკლისს მოწინავეთა ხარჯზე ავსებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. დაევალოს რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, მინისტრებს, უწყებათა და საწარმოთა ხელმძღვანელებს უზრუნველყონ, რომ თვითეული საწარმო უთუოდ ასრულებდეს პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმას დაწესებული ნომენკლატურისა და ასორტიმენტის დარგში, ახალი ტექნიკის დანერგვისა და ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის დარგში.

გადაჭრით აღმოფხვრან ლიბერალური დამოკიდებულება სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევებისადმი, არ მოერიდონ იმას, რომ თანამდებობიდან მოხსნან მუშაკები, რომლებსაც არ შესწევთ წარმოების მართვის უნარი, და შეცვალონ ისინი საქმის მცოდნე და ენერგიული ორგანიზატორებით.

2. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტების, ზომებისა და საზომ ხელსაწყოთა კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს გაძლიერონ კონტროლი სახელმწიფო სტანდარტებისა და ტექნიკური პირობების დაცვისადმი; გაძლიერონ მთავარი ინჟინრების, ტექნიკური კონტროლის განყოფილებათა უფროსების და საამქროთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა ტექნოლოგიური დისციპლინის ზუსტად დაცვისათვის.

3. დაევალოს მინისტრებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი საწარმოთა ფინანსური საქმიანობისადმი ხელმძღვანელობაში, აღმოფხვრან მატერიალური და ფულადი რესურსების მფლანგველური ხარჯვა, ზუსტად დაიცვან მომჭირნეობის რეჟიმი, განამტკიცონ სამეურნეო ანგარიში, გაერკვნენ ჩამორჩენილ საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში, მიიღონ საჭირო ღონისძიებანი ყველა საწარმოს რენტაბელური მუშაობის ორგანიზაციისათვის.

### VIII.

### აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განლაგებაში

პარტიამ და მთავრობამ დიდი მუშაობა გასწიეს ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის განლაგების გასაუმჯობესებლად. იმის შედეგად, რომ ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა ინდუსტრიალიზაცია, მრეწველობა მიუახლოვდა ნედლეულის წყაროებსა და მოხმარების რაიონებს, მნიშვნელოვნად განვითარდა აღმოსავლეთ რაიონების მრეწველობა. თუ მთლიანად სსრ კავშირში სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1954 წელს 2,8-ჯერ გადიდდა 1940 წელთან შედარებით, აღმოსავლეთ რაიონების სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ამ ხნის განმავლობაში 4-ჯერ გადიდდა.

ამასთანავე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სამრეწველო საწარმოთა გეოგრაფიული განლაგების გაუმჯობესების შესახებ დამაკმაყოფილებლად არ სრულდება. ზოგიერთი სამინისტრო სათანადო ყურადღებას არ აქცევს აღმოსავლეთ რაიონებში ახალ საწარმოთა მშენებლობას და ამ რაიონებში არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სსრ კავშირის სახელმწიფო ეკონომიურ კომისიას, სამინისტროებს, უწყებებს, რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს გაუმჯობესონ ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალების განლაგების საერთოსახელმწიფოებრივი დაგეგმვა, ამასთან ზუსტად იხელმძღვანელონ პარტიის დირექტივებით სამრეწველო საწარმოთა გეოგრაფიული განლაგების გაუმჯობესების შესახებ, ნედლეულისა და სათბობის წყაროებთან, მოხმარების რაიონებთან მრეწველობის მიახლოების შესახებ, ეკონომიური რაიონების მეურნეობის სწორი სპეციალიზაციისა და კომპლექსური განვითარების და ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში მრეწველობის უფრო სწრაფი განვითარების შესახებ, შეზღუდონ სამრეწველო საწარმოთა შემდგომი კონცენტრაცია მთელ რიგ დიდ ქალაქებში.

### IX.

### ავამაღლოთ მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონე

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ იმ ამოცანების განხორციელება, რომლებიც ამჟამად კომუნისტურმა პარტიამ დასახა სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის, პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მნიშვნელოვან გაძლიერებას. მრეწველობის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ ზევრმა რაიონულმა, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტმა და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტმა შეანელა ყურადღება წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის გაუმჯობესების საკითხებისადმი.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტი არ ახორციელებს მუდმივ კონტროლს სამრეწველო საწარმოთა მუშაობისადმი, მთლიანად მრეწველობის მუშაობის საერთო წარმატებისა და საშუალო მაჩვენებლებს იქით ვერ ხედავს ჩამორჩენილ საწარმოთა მუშაობის ნაკლოვანებებს, და არ იღებს სათანადო ღონისძიებებს, რომ ისინი მოწინავეთა დონეზე აიყვანოს. პარტიის მთელი რიგი საოლქო, საქალაქო კომიტეტების ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად მიდიან საწარმოებში, არ იცნობენ ადგილებზე ნამდვილ მდგომარეობას და არ ახდენენ საჭირო გავლენას საწარმოებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ რაიონულ, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტებში და მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებში დაკნინებულია სამრეწველო განყოფილებათა როლი და პასუხისმგებლობა საწარმოებში საქმის მდგომარეობისათვის. ამ განყოფილებათა მუშაკები ნაცვლად იმისა, რომ აწარმოონ ორგანიზატორული მუშაობა საწარმოებში, შეისწავლონ კადრები, წარმოების ტექნიკა და ეკონომიკა, აკეთებენ წვრილმან სამეურნეო საქმეებს, ადგენენ უამრავ ცნობებსა და ჯუმლებს.

მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაში კიდევ უფრო იზრდება პროფესიული კავშირების როლი. პროფესიული კავშირები, რომლებიც მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციაა, დიდ მუშაობას ეწევიან მუშებისა და მოსამსახურეების კომუნისტური აღზრდისათვის, წარმართავენ მათს ღონისძიებებს სახელმწიფოს წინაშე მდგომი სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების შესრულებისათვის; პროფკავშირთა წარმატებანი ამ საქმეში უდავო და საყოველთაოდ ცნობილია. მაგრამ ბევრი პროფკავშირული ორგანიზაცია სუსტად ნუშაობს, საკავშირო პროფსაბჭო, პროფესიული კავშირების ცენტრალური კომიტეტები და ადგილობრივი პროფკავშირული კომიტეტები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას. უფრო ხშირად ისინი მუშაობენ მხოლოდ ცალკეულ პირებთან ან მოწინავე მუშების მცირე ჯგუფებთან და ივიწყებენ ძირითად მასას შეჯიბრების მონაწილეებისა, რომლებიც თავიანთი მუშაობით გადამწყვეტი არიან საწარმოო გეგმის შესრულებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ავალებს მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

1. გააძლიერონ ხელმძღვანელობა მრეწველობისადმი, მიაღწიონ კონკრეტულ შედეგებს საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებაში. პარტიულმა ორგანიზაციებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ ორგანიზატორულ მუშაობას შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის და მრეწველობაში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისათვის, წარმოების ნოვატორთა და მოწინავე საწარმოთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებისათვის. აღმოფხვრან ნაკლოვანებანი წარმოებაში კომუნისტების განაწილების საქმეში, რათა მათი ძირითადი მასა იმყოფებოდეს იქ, სადაც საწარმოო გეგმების წარმატებით შესრულებისა და მოწინავე ტექნიკის დანერგვის ბედი წყდება.

2. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო ინსტიტუტებისა და საკონსტრუქტორო ბიუროების პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის გაუმჯობესებას, მეცნიერული და ინჟინერ-ტექნიკური კადრების პოლიტიკური აღზრდის გაძლიერებას, ამასთან მხედველობაში იქონიონ ტექნიკური პროგრესის დარგში მათი მუშაობის ყოველმხრივი აქტივიზაცია.

3. აღადგინონ სამეურნეო აქტივების კრებების რეგულარული გამართვის პრაქტიკა, უფრო ხშირად მოიწვიონ მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციები, წარმოების ნოვატორთა, რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა თათბირები, რომლებზეც განიხილონ ახალი ტექნიკის დარგში მუშაობის ყველაზე წარმატებით შესრულებული ღონისძიებანი, სისტემატურად მოაწყონ საწარმოო თათბირები საწარმოებში.

4. გააძლიერონ კომკავშირული ორგანიზაციების როლი და აქტივობა საწარმოთა საწარმოო ცხოვრებაში, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის ძირფას წამოწყებას, მეტი ზრუნვა გამოიჩინონ ახალგაზრდა მუშების პოლიტიკური აღზრდისა და მათი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

5. გაუმჯობესონ რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო კომიტეტების, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების სამრეწველო განყოფილებათა მუშაობა. ამ განყოფილებათა მუშაკები განტვირთონ უსარგებლო მიწერმოწერისაგან, რათა მათი სამუშაო დროის მეტ წილს ისინი ანდომებდნენ საწარმოებში ყოფნას, დახმარებას უწევდნენ პარტიულ ორგანიზაციებს პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებაში.

6. გამოიჩინონ უფრო გულისხმიერი მოპყრობა მშრომელთა საჭიროებებისადმი და მიიღონ ღონისძიებანი მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საბინაო მშენებლობის დაწესებული გეგმის უთუო შესრულების უზრუნველყოფას, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, სამკურნალო, კომუნალურ და მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებების მომსახურებასთან დაკავშირებულ სხვა დაწესებულებებში მუშაობის მოწესრიგებას; უზრუნველყონ საწარმოებში შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის ყველა საჭირო ღონისძიებათა ზუსტი განხორციელება.

დაევალოს საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებსა. და ადგილობრივ პროფკავშირულ ორგანოებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესონ საწარმოებში მუშაობა პროფკავშირთა წევრების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობის გაძლიერებისათვის კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ გაჩაღების საფუძველზე.

7. სოციალისტური შეჯიბრება აიყვანონ ახალ საფეხურზე და მხედველობაში იქონიონ მთავარი რამ — მტკიცედ დანერგონ და გაავრცელონ წარმოების მოწინავეთა და ნოვატორთა მიღწევები და ამ საფუძველზე მოიპოვონ ახალი წარმატებანი.

★ ★

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს კომუნისტებს, კომკავშირელებს, მუშებს, ოსტატებს, ტექნიკოსებს, ინჟინრებს, მეცნიერების მოღვაწეებს და მოსამსახურეებს მიიღონ ღონისძიებანი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი განვითარების დასახული პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის და მტკიცე რწმენას გამოთქვამს, რომ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენი სამშობლოს გმირი მუშათა კლასი, ინტელიგენცია და ყველა მშრომელნი უზრუნველყოფენ მრეწველობის მძლავრ აღმავლობას და ამით ახალ წვლილს შეიტანენ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

## კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი

13 ივლისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი.

მიღების დროს გამართულ საუბარში მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ა. ლავრიშევი, აგრეთვე ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი ტრუონგ შინი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ლონგ ბანგი.

საუბარი გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა. (საკდესი).

## ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხ. ხო ში მინი

1955 წლის 13 ივლისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ხო ში მინი.

პრეზიდენტ ხო ში მინს ახლდნენ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი ტრუონგ შინი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ლონგ ბანგი.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა და სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ა. ლავრიშევმა. (საკდესი).

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა საუზმე გამართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინის პატივსაცემად

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა 13 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართა საბჭოთა მთავრობის მოწვევით სსრ კავშირში მყოფი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო ში მინისა და ვიეტნამის მთავრობის დელეგაციის წევრების პატივსაცემად.

ვიეტნამის მხრივ საუზმეზე იყვნენ პრეზიდენტი ხო ში მინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის გენერალური მდივანი ტრუონგ შინი, ფინანსთა მინისტრი ლე ვან გიენი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ფან ანი, განათლების მინისტრი ნგუენ ვან გუენი, მიწათმოქმედებისა და მეტყევეობის მინისტრი ნგიენ სუან იემი, პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი ნგუენ ზუი ტრინი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უნგ ვან ხიემი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ფამ ნგოკ თხაკი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ლონგ ბანგი.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, პ. ნ. პოსპელოვი, დ. ტ. შეპილოვი, რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის მინისტრები გ. კ. ჟუკოვი, ი. გ. კაბანოვი, ნ. ა. ნიხაილოვი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ა. ლავრიშჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განყოფილების გამგე ბ. მ. ვოლკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლჩოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლები ნ. პ. ციგიჩკო, ე. ა. ტარაბრინი.

საუზმეზე იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო.

ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა და პრეზიდენტმა ხო ში მინმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს.

საუზმემ განსაკუთრებული გულითადობის ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

## ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ ინახულა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის მავზოლეუმი

13 ივლისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციამ პრეზიდენტ და პრემიერ-მინისტრ ხო ში მინის მეთაურობით ინახულა და გვირგვინებით შეამკო ლენინისა და სტალინის მავზოლეუმი.

ერთ-ერთ გვირგვინს აქვს წარწერა: „უკვდავთ ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციისაგან“, მეორე გვირგვინს — „უკვდავთ ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტ ხო ში მინისაგან“.

დელეგაციას ახლდნენ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ა. ა. ლავრიშჩევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, მოსკოვის კრემლის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. ვედენინი. (საკდესი).

# საკდესის განცხადება გერმანიის საკითხზე

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

უკანასკნელ დროს ჟენევაში სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობათა მეთაურების მომავალ თათბირთან დაკავშირებით ამერიკისა და ინგლისის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა მოღვაწემ გააკეთა განცხადება გერმანიის საკითხზე. ამასთან „საქმეს ისე გვიხატავენ, თითქოს საბჭოთა კავშირს „აღარ აინტერესებს“ გერმანიის გაერთიანება და თითქოს გაერთიანებული გერმანია მას მიაჩნია თავისი უშიშროების საფრთხედ.

ამგვარი განცხადებანი არ გამოხატავენ ნამდვილ მდგომარეობას, რამდენადაც ეს ეხება საბჭოთა კავშირის პოზიციას გერმანიის საკითხში.

ყველამ იცის, რომ საბჭოთა კავშირი უცველად აყენებდა პირველ ადგილზე გერმანიის გაერთიანების საკითხს. ამას უპირდაპირდებოდა გეგმები, რომლებსაც გერმანიის ერთიანობის საკითხი მეორე ადგილზე გადაჰქონდათ და პირველ ადგილზე აყენებდნენ დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნას და დასავლეთ გერმანიის შეყვანას დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკებში.

რას ნიშნავს ის ფაქტი, რომ უკანასკნელ დროს დაამტკიცეს ეგრეთწოდებული პარიზის შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღდგენას და მის ჩართვას დასავლეთ ევროპის კავშირსა და ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში? განა ცხადი არ არის, რომ ამით ამ შეთანხმებათა მონაწილე სახელმწიფოებმა გერმანიის ერთიანობა მსხვერპლად შესწირეს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების გეგმებს. ეს იმას მოწმობს, რომ ამ გეგმების განხორციელება გზას უღობავს გერმანიის ერთიანობის აღდგენას.

ახლა პარიზის შეთანხმებათა მონაწილეებზეა დამოკიდებული, კვლავაც დარჩება გერმანია ორ ნაწილად გათეშული, თუ გერმანელი ერი გაერთიანდება ერთიან სახელმწიფოდ და გერმანელ ხალხს მიეცემა ფართო შესაძლებლობა, რათა შემოქმედებითი ძალები გამოიჩინოს თავისი ეკონომიკის, თავისი მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურის მშვიდობიან განვითარებაში.

ამბობენ, თითქოს გერმანიის ერთიანობის აღდგენისათვის ახლანდელ პირობებში საკმაოა შეთანხმება სრულიად გერმანიის არჩევნების მოწყობის ტექნიკაზე. ამასთან დაკავშირებით იხსენიებენ ეგრეთწოდებულ „ოდენის გეგმას“, რომელიც წარმოდგენილ იქნა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების ბერლინის თათბირზე 1954 წლის იანვარში. საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობის წესთან, რა თქმა უნდა, გარკვეული მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ იმ ახალ ვითარებაში, რომელიც გერმანიაში შეიქმნა პარიზის შეთანხმებათა ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკითხს, გადაიქცევა დასავლეთი გერმანია მილიტარისტულ სახელმწიფოდ, რომელიც სამხედრო დაჯგუფებებში შევა, თუ მიღებულ იქნება ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაშორებენ დასავლეთ გერმანიის ასეთ განვითარებას. არ შეიძლება იმის დაშვება, რომ გერმანიის გაერთიანებისა და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისათვის ეს მთავარი საკითხი შეიცვალოს დაქვემდებარებული საკითხით, როგორიც არის არჩევნების მოწყობის წესი.

საბჭოთა კავშირი იყო და არის გერმანიის ერთიანობის აღდგენის მომხრე. ამასთან საბჭოთა კავშირი იმის მომხრეა, რომ სათანადოდ იყოს გათვალისწინებული გერმანელი ხალხის კანონიერი ინტერესები და უფლებანი და უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობის განმტკიცება ევროპაში.

არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ამტკიცებენ, თითქოს გერმანიის გაერთიანება ძნელდება იმით, რომ საბჭოთა კავშირი „გამსჭვალულია შიშით“ გაერთიანებული გერმანიის წინაშე.

ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ, რომ საბჭოთა კავშირმა, მისმა გმირმა ხალხმა, ღირსეულად დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა ბრძოლაში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, რომლის სამსახურშიც ჩაყენებული იყო თითქმის მთელი ევროპის სამრეწველო და სამხედრო რესურსები. მით უფრო შეძლებს იგი დაიცვას თავი ამჟამად, როცა მისი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა, გაერთიანებულია ევროპისა და აზიის ბევრი სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს ღონისძიებებთან და მათ სულ უფრო ფართოდ უჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს ხალხები.

საბჭოთა კავშირი ეწინააღმდეგება გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებისა და დასავლეთ გერმანიის, ისევე როგორც გაერთიანებული გერმანიის, სამხედრო დაჯგუფებებში ჩართვის პოლიტიკას არა იმიტომ, რომ ეშინია მილიტარისტული გაერთიანებული გერმანიისა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი პოლიტიკა იწვევს ახალი ომის საფრთხის გაძლიერებას. ხოლო ახალი ომი, თუ იგი დაიწყო, გამოიწვევს ადამიანთა უდიდეს და უმაგალითო მსხვერპლს, უდიდეს და უმაგალითო მატერიალურ ნგრევას. თანამედროვე ომში, როცა გამოჩნდა ახალი, წინათ არარსებული სახეობათა იარაღი მასობრივი მოსპობისა — ატომური, წყალბადის, რაკეტისა და სხვ., — რა თქმა უნდა, ომის მონაწილე ვერც ერთი ქვეყანა ვერ აიშორებს თავიდან უდიდეს ნგრევასა და მსხვერპლს. მაგრამ არა გვგონია ვინმე დაეჭვდეს, რომ ახალი ომი ყველაზე დიდი საფრთხე იქნებოდა გერმანიისათვის. გერმანია აღმოჩნდებოდა საომარი მოქმედების ცენტრში და ამას მოჰყვებოდა აუოაცხელი უბედურება გერმანელი ხალხისათვის.

გერმანიის საკითხის გადაჭრა განუყრელად დაკავშირებულია მთელი ევროპის უშიშროების უზრუნველყოფასთან. ასე განიხილავს ამ საქმეს ევროპის ყველა ქვეყანა, რომელიც ეწრაფვის თავისი მშვიდობიანი განვითარების პირობების უზრუნველყოფას. თუ ახლანდელ პირობებში არ მოხერხდა დაუყოვნებლივ მიღწეულ იქნას შეთანხმება მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძვლებზე გერმანიის გაერთიანების შესახებ, საჭირო გახდება თანდათანობით მივაღწიოთ ამ ამოცანის გადაჭრას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზით. ამ მიზნის შესაფერისი იქნებოდა სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა და მასში ევროპის სახელმწიფოთა მონაწილეობა, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განსხვავებისა.

ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნით სხვებზე არანაკლებ დაინტერესებულია გერმანელი ხალხი. უშიშროების ამ სისტემაში შეიძლებოდა მონაწილეობა მიეღო როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ისე გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას, რომელთა დაახლოება საჭიროა, რათა დაჩქარდეს გერმანიის ერთიანობის აღდგენა. რა თქმა უნდა, როგორც კი აღდგება ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანია, იგი თავის შესაფერის ადგილს დაიკავებს ევროპის მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახში, რომლებიც გაერთიანებული იქნებიან კოლექტიური უშიშროების სისტემით.

როცა გერმანიის მომავალზე ლაპარაკობენ, ახლა ჩვეულებრივ არ მალავენ, რომ ევროპაში სამხედრო ბლოკების შექმნის მომხრეთა განზრახვით გაერთიანებული გერმანია უნდა შევიდეს დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო დაჯგუფებებში. საბჭოთა კავშირს, ისევე როგორც სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნებს, არ შეუძლია ამას ანგარიში არ გაუწიოს. ამასთან დაკავშირებით შეგვიძლია ვიკითხოთ, — როგორ მოეკიდებოდნენ დასავლეთის სახელმწიფოები იმას, რომ საბჭოთა კავშირს ჰქონოდა პრეტენზია, რომ გერმანიის გაერთიანების საკითხის გადაჭრა დაუკავშირდეს გაერთიანებული გერმანიის მონაწილეობას, მაგალითად, ვარშავის ხელშეკრულებაში. შეიძლება ეჭვი არ გვექნეს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ამას არ მოიწონებდნენ.

ამჟამად აღიარებულია, რომ მოუწესრიგებელ საერთაშორისო საკითხთა გადაჭრა ბევრად არის დამოკიდებული სახელმწიფოთა შორის ნდობის დამყარებასა და განმტკიცებაზე. ამას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს როგორც გერმანიის პრობლემასთან და ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნასთან, ისე შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის პრობლემასთან. სწორედ ამ პრობლემებზეა მიპყრობილი ახლა ხალხთა ყურადღება.

ოთხ სახელმწიფოს აკისრია დიდი პასუხისმგებლობა ხალხთა წინაშე მშვიდობის ბედისათვის. ეს ავალებს ამ სახელმწიფოთა სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებიც ჟენევაში უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, გამონახონ გზები მოუწესრიგებელი პრობლემების გადასაჭრელად საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მთელი მისი საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარეობს, რომ იგი ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს ამ მიზნების მიღწევას.

## საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ეკონომიური ურთიერთობისათვის

საბჭოთა კავშირ-ავსტრიის ამა წლის 15 აპრილის ძემორანდუმის შესაბამისად მოსკოვში წარმოებდა მოლაპარაკება ეკონომიურ საკითხებზე სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროსა და ავსტრიის ეკონომიურ დელეგაციას შორის.

შედეგად მოლაპარაკებისა, რომელიც ძეგობრულ ვითარებაში და ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა, 1955 წლის 12 ივლისს ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირისათვის საქონლის მიწოდების შესახებ იმ ქონების საზღაურად, რასაც საბჭოთა კავშირი ავსტრიას გადასცემს დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ სახელმწიფო ხელშეკრულების 22 მუხლის მე-6 პუნქტის დადგენილებათა შესაბამისად.

ამ შეთანხმებით ავსტრია საბჭოთა კავშირს ექვსი წლის განმავლობაში მიაწოდებს 150 მილიონი დოლარის საერთო თანხის საქონელს, ყოველწლიურად 25 მილიონი დოლარისას. საქონლის სიაში შევიდა: საგლინავი, ქაღალდის საკეთებელი და ხის დასამუშავებელი შოწყობილობა, კომპრესორები, ქიმიური აპარატურა, სპეციალიზებული ავტომობილები, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები, ფოლადისა და მოთუთიებული ფურცლები, სპილენძის ნაგლინი, კაბელი, ნავთობი, ნიტრო-სანდალოზები, ხელოვნური აბრეშუმის ნართი და ქსოვილები, ფეხსაცმელი.

ამავე დროს ხელმოწერილ იქნა შეთანხმება საბჭოთა კავშირისათვის ნედლი ნავთობის მიწოდების შესახებ იმ ნავთობის სარეწებისა და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების საკომპენსაციოდ, რომლებსაც საბჭოთა კავშირი ავსტრიას გადასცემს ამა წლის 15 აპრილის საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მემორანდუმის შესაბამისად. ამ შეთანხმებით ავსტრია ათი წლის განმავლობაში მიაწოდებს საბჭოთა კავშირს 10 მილიონ ტონა ნედლ ნავთობს, თითო მილიონ ტონას წელიწადში.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის მხრივ სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ი. გ. კაბანოვმა, ავსტრიის მხრივ — დესპანი დოქტორმა ვ. პლატცერმა.

აღნიშნულ ორ შეთანხმებაზე მოლაპარაკებასთან ერთად წარმოებდა აგრეთვე მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულებისა და საქონელბრუნვის და გადასახდელების თაობაზე შეთანხმებათა დადების შესახებ. სავაჭრო ხელშეკრულება და შეთანხმებანი საქონელბრუნვის და გადასახდელების შესახებ დაიდება ხუთი წლის ვადით. ამ მოლაპარაკების დროს ხელშეკრულების დამდებმა ორივე მხარემ გამოთქვა ერთსულოვანი სურვილი დააწესონ ისეთი ვაჭრობა, რომელიც შეეფერება ურთიერთეკონომიურ ინტერესებს. მხარეები შეთანხმდნენ განაგრძონ მოსკოვში დაწყებული სავაჭრო მოლაპარაკება, რათა უახლოეს ხანში შესაძლებელი იქნეს ხელი მოაწერონ სავაჭრო ხელშეკრულებას, შეთანხმებას საქონელბრუნვის შესახებ და შეთანხმებას გადასახდელთა შესახებ.

## გავშვთა დასვენეგა ქალაქში

ბედნიერი საბჭოთა ბავშვები ნაყოფიერი სწავლის შემდეგ ზაფხულის ცხელ დღეებს ატარებენ ჩვენი ქვეყნის განთქმულ კურორტებზე — სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პიონერთა ბანაკებში. გარდა ამისა, ქალაქში დარჩენილი ბავშვებისათვის რამდენიმე ადგილას მოწყობილია გამაჯანსაღებელი მოედნები, სადაც მათთვის შექმნილია ყველა პირობა გართობისა და დასვენებისათვის.

გამაჯანსაღებელ მოედანზე, რომელიც მოწყობილია 47-ე საშუალო სკოლის შენობაში შ. ჩიტაძის ქუჩაზე, ბავშვთა განკარგულებაშია ნათელი ოთახები, განიერი დერეფნები, სკოლის ეზო და სხვ. ზაფხულის განმავლობაში მოედანი სამ ცვლად გაატარებს 400-მდე ბავშვს.

საინტერესოდ მუშაობენ ნორჩ ნატურალისტთა, რადიომოყვარულთა, ხატვის, ჰადრაკის, შაშის, ფრენბურთის, ქარგვის, ხალის წრეები. ბავშვები ხშირად აწყობენ ექსკურსიებს თბილისის ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად.

ამ დღეებში მოეწყო 4-დღიანი ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით — ფუნიკულორის პლატო — უძო — ბეთანია. ლაშქრობაში მონაწილეობდა 30 ბავშვი. ლაშქრობის მიზანი იყო სშობლიური მხარის გაცნობა, ჰერბარიუმებისათვის მასალების შეგროვება, რელიეფის შესწავლა. ამჟამად პიონერები ემზადებიან საქალაქო ტურისტული ლაშქრობისათვის, აგრეთვე ექსკურსიებისათვის ზედაზენში, გორში, საგურამოში.

ამ დღეებში გამაჯანსაღებელი მოედნის პიონერებს ესტუმრნენ მოსკოვის ოლქის ქალაქ ტუშინოს კომკავშირელები, რომლებმაც თბილისელ პიონერებს გადასცეს ალბომი „მოსკოვის ხედი“ და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის სურათები. გამაჯანსაღებელი მოედნის პიონერებმა სტუმრებს მიუძღვნეს პიონერული რაზმის შეკრება, გადასცეს ალბომი „თბილისის ხედი“ და „ვეფხისტყაოსანი“ რუსულ ენაზე. მოეწყო ამხანაგური შეჯიბრება ფრენბურთში.

**სურათზე:** გამაჯანსაღებელი მოედნის ნორჩი ნატურალისტები საცდელ ნაკვეთში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## სპორტის ამბები

### რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში

საქართველოს 1955 წლის პირველობის გათამაშების პირველი წრე ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. მორიგი შეხვედრები გაიმართა 10 ივლისს. პირველი ჯგუფის გუნდების მატჩების შედეგები ასეთია: „კოლმეურნე“ (ქობულეთი)— „დინამო“ (ქუთაისი) 1:2, ფოთის ნაკრები გუნდი — 26 კომისრის რაიონის ფეხბურთელთა კოლექტივი 3:1, „დინამო“ (სოხუმი) — „კოლმეურნე“ (მახარაძე) 4:2, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 0:0, „დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (გორი) 0:0, „პიმჩევეიი“ (ბორჯომი) — „დინამო“ პირველი (თბილისი) 1:0.

დღეისათვის ჩემპიონატის ლიდერია ქუთაისის „დინამო“, რომელსაც 9 თამაშიდან 14 ქულა აქვს.

### გუნდური შეჯიბრება ჰადრაკში

თბილისის ცენტრალურ საჰადრაკო კლუბში რამდენიმე დღეა გრძელდება გუნდური შეჯიბრება ჰადრაკში საქართველოს პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები გაყოფილი არიან ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში იბრძვიან: თბილისეს, ბათუმის, თელავის, სტალინირის, ქუთაისის, ფოთის, ზუგდიდის, სოხუმისა და მახარაძის გუნდები, მეორე ჯგუფში — გორის, რუსთავისა და ჭიათურის მოკვადრაკეები.

5 ტურის შემდეგ წინ არის თბილისის მოჭადრაკეთა კოლექტივი, რომელსაც 21 ქულა აქვს.

### ჩოგბურთელთა ასპარეზობა

თბილისის კორტებზე საინტერესო ბრძოლით ხასიათდებოდა საქართველოს გუნდური პირველობის გათამაშება ჩოგბურთში. ჩემპიონობისათვის იბრძოდა 4 კოლექტივი — თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის.

ძლიერად ჩაატარა მატჩები თბილისის გუნდმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა სოხუმის ჩოგბურთელთა კოლექტივი და საქართველოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა. მეორე ადგილი დაიკავა სოხუმის გუნდმა.

## ოპერისა და ბალეტის თეატრში

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა სეზონის უკანასკნელ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ა. ბოროდინის ოპერა „თავადი იგორი“.

მონაწილეობენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ბ. კრავეიშვილი (თავადი იგორი), ე. გოსტენინა, დ. მჭედლიძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ა. ჩაკალიდი, შ. ქუთათელაძე, ვ. შაპოშნიკოვი, მსახიობები თ. ფუშკუდიანი, ტ. მალიშევა, გ. ტორონჯაძე, რ. გელოვანი, მ. ამირანაშვილი და სხვ.

ოპერას დირიჟორობს სტალინური პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. მირცხულავა, სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს მ. კვალიაშვილს, მხატვრობა — შ. ჩიქოვანს, ცეკვების დადგმა — სტალინური პრემიის ლაურეატს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ვ. ჭაბუკიანს.

• • •

თეატრის სპექტაკლებში წარმატებით მონაწილეობენ საგასტროლოდ მყოფი მსახიობები. სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. ივანოვსკიმ მონაწილეობა მიიღო ოპერებში „კარმენი“ (ხოზე) და „პიკის ქალი“ (გერმანი). ლიტვის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ადამკევიჩიუსი გამოვიდა ოპერებში „ტრავიატა“. (ალფრედი), „კარმენი“ (ხოზე), „აიდა“ (რადამესი), „პიკის ქალი“ (გერმანი).

სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა რსფსრ სახალხო არტისტმა გ. ბოლშაკოვმა 13 ივლისს ოპერაში „კარმენი“ შეასრულა ხოზეს პარტია, ხოლო 16 ივლისს ამღერებს რადამესის პარტიას ოპერაში „აიდა“.

17 ივლისს საღამოს წარმოდგენილი იქნება ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“, რითაც დაიხურება თეატრის მიმდინარე სეზონი.

ბ. ძნელაძე.

რედაქტორი ნ. ჯაში.

**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სტალინის სახელობის ბორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში** 1955-56 სასწავლო წელს მოსწავლეთა მიღების პირობები.

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის კადრებს სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის. ტექნიკუმს აქვს სამი განყოფილება: **მეხილეობა-მებოსტნეობა, მემინდვრეობა, სახუხჭალტრო-ეკონომიური.**

სწავლის ხანგრძლივობა **მემინდვრეობის განყოფილებაზე** 4 წელია, **მეხილეობა-მებოსტნეობისა** და **სახუხჭალტრო განყოფილებებზე** 2,5 წელი, **მემინდვრეობის განყოფილებაზე** მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 20 წლამდე, რომელებსაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი ან გამოსული არიან 9-10 და 11 კლასებიდან, და ის პირნი, რომელებმაც 7 კლასი დამთავრეს 1946 წლამდე; **მეხილეობა-მებოსტნეობის** და **სახუხჭალტრო განყოფილებებზე** — საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე ან გამოგზავნონ ფოსტით შემდეგი მისამართით: გორი, ლენინის ქუჩა № 3. განცხადებაში ნაჩვენები უნდა იყოს — რომელ განყოფილებაზე სურს შესვლა. განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს შემდეგი სამუთები: სკოლის დამთავრების და დამადების მოწმობები, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ; სამი ცალი ფოტოგრაფიული სურათი (შემოწმებული), ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ სამხედრო ვალდებულთათვის, ავტობიოგრაფია და ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ.

ტექნიკუმში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომელებმაც რვაწლიანი ან საშუალო სკოლა დამთავრეს ხუთეტებზე.

მემინდვრეობის განყოფილებაზე მისაღები გამოცდები დაწესებულია რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), სსრ კავშირის კონსტიტუციაში, მათემატიკაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი); მეხილეობისა და სახუხჭალტრო განყოფილებებზე — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში (ზეპირი), რუსულში (წერა).

მიღებულ მოსწავლეებს დაენიშნებათ სტიპენდია 140-250 მანეთამდე.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

მოსწავლეთა ჩარიცხვა დამთავრდება 25 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

**ყურადღება!**

სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები აწარმოებენ სიცოცხლის ინდივიდუალურ დაზღვევას.

**სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით**

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და დაზღვილებითი პირობებისათვის მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტს.

**სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სსრ რესპუბლიკაში.**

**თბილისის „დინამოს“ სტადიონი**

16 ივლისს

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის პირველობაზე

**„ბ“ კლასი**

**„ენერგია“** (სარატოვი)

**ოფიცერთა სახლი** (თბილისი)

დასაწყისი 6 ს. და 30 წ.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა იწარმოებს 16 ივლისს დილის 10 საათიდან „დინამოს“ სტადიონის სალაროებში.

მეუღლე ელენე, შვილები ლულუ, ლიტა, ძმები აკაკი, ალექსანდრე, დები ქეთო, მატრონა ოჯახებით იუწყებიან

**სევერიანე ნესტორის-ძე ფალავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-VII, 8 ს. გამოსვენება 16-VII, 6 ს. თარხნიშვილის ქ. № 21.

---

მეუღლე ვარლამ, და საშა იუწყებიან

**ელენე ვასილის ასულ ბერიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 14-VII, 5 ½ ს. ფალიაშვილის ქ. № 16.

---

მეუღლე ევდოკია ოჯახით იუწყება

**ვასილ იაკობის-ძე ბიბილაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-VII, 8 ს. გამოსვენება 16-VII, 6 ს. ჭონქაძის ქ. № 10-ა.

---

**შვილები საულ, ზაალ, დები მარიამ, ბარბალე, ნინო, ძმა დავით ოჯახებით იუწყებიან**

**ტერეზა ნიკოლოზის ასულ კახიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-VII, 8 ს. გამოსვენება 16-VII, 6 ს. პლეხანოვის პროსპექტი № 111.

---

მშობლები ელენე, ვარლამ, დები ნელი, ნუნუ ოჯახებით იუწყებიან

**ვაჟა კალანდაძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-VII, 8 ს. გამოსვენება 16-VII, 6 ს. პროლეტარის ქ. № 50.

---

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რადიოინფორმაციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან

**ეკატერინე ვასილის ასულ ზედგინიძის**

გარდაცვალებას.

---

**შვილები მარო, თამარ, ნინო, კოტე, რუსუდან ოჯახებით იუწყებიან**

**მაშო მიხეილის ასულ მელაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14, 15-VII, 8 ს. გამოსვენება 16-VII, 6 ს. ჩელიუსკინელების ქ. № 9.

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტიულოსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვებისა — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.